ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N156

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **„ 25 *დეკემბერი 2019წ.***

ერთის მხრივ **ა.(ა).ი.პ. "მარნეულის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)" ს.კ. 234233344 მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 71 (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაურ კარამოვის სახით**

და მეორეს მხრივ ელჩინ ასკაროვი პ.ნ. 28001009480, მისამართი: ქ. მარნეული; მომსახურე ბანკი ს/ს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE34TB 7785 3450 6110 0097 (შემდგომში „მიმწოდებელი") **ელჩინ ასკაროვის** სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად მონეტარული ზღვრის დაცვით გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **სოფ. ხიხანის ბაგა- ბაღების კანალიზაციის მილების გაწმენდის მომსახურება.**

CPV- 90470000 - <u>მომსახურებები საკანალიზაციო მილების გაწმენდის სფეროში</u>

შესყიდვა №1 დანართის შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მისაწოდებელი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს: 306 (სამას ექვსი) ლარი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

მომსახურება მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: სოფელ ხიხანის ბაგა-ბაღი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია **27.12.2019 წლამდე განახორციელოს** 1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურება ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

3.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული მომსახურების ღირებულება.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს **ა.(ა).ი.პ. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)"-ის დირექტორის მოადგილე ფირან მაისურაძე და მომმარაგებელი რზა მამედოვი.**

6. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო და არ გამოავლენს ხარვეზს.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან შემსყიდველი პასუხისმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე.

7.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო** გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8. ფასები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

8.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების **10 %-ს**.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%** ოდენობით.

11.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

11.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **31.01.2020 წლამდე.**

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
ა.(ა).ი.პ. "მარნეულის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)" **ს.კ. 234233344 მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 71**	**ელჩინ ასკაროვი** **პ.ნ. 28001009480,** **მისამართი: ქ. მარნეული;** **მომსახურე ბანკი ს/ს„თიბისი ბანკი"** **ბანკის კოდი TBCBGE22** **ა/ა GE34TB 7785 3450 6110 0097**
დირექტორი: zaur karamov Подписано цифровой подписью: zaur karamov Дата: 2019.12.25 09:46:09 +04'00' **/ ზაურ კარამოვი**	Elchin Askarov Подписано цифровой подписью: Elchin Askarov Дата: 2019.12.25 09:47:45 +04'00' **/ ელჩინ ასკაროვი/**
(ბ.ა.)	(ბ.ა.)

2019 წ. 25 დეკემბერი გაფორმებული N156 ხელშეკრულების დანართი №1

№	CPV კოდი	მომსახურების დასახელება	ღირებულება
1	CPV- **90470000** - <u>მომსახურებები საკანალიზაციო მილების გაწმენდის სფეროში</u>	სოფ. ხიხანის საბავშვო ბაღის კანალიზაციის მილების გაწმენდის მომსახურება.(სამი რეისი)	306.00 ლარი
			204.00 ლარი

შემსყიდველი ორგანიზაცია:

ა.(ა).ი.პ. "მარნეულის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)"
ს.კ. 234233344 მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 71

დირექტორი: zaur karamov

Подписано цифровой подписью: zaur karamov
Дата: 2019.12.25 09:49:12 +04'00'

/ ზაურ კარამოვი

(ბ.ა.)

მიმწოდებელი:

ელჩინ ასკაროვი
პ.ნ. 28001009480,
მისამართი: ქ. მარნეული;
მომსახურე ბანკი ს/ს„თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE34TB 7785 3450 6110 0097

/ელჩინ ასკაროვი/ Elchin Askarov

Подписано цифровой подписью: Elchin Askarov
Дата: 2019.12.25 09:48:25 +04'00'

(ბ.ა.)